

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „აკადემიური გუნდის დირიჟორობა“
მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;
2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – კარნახი და სმენითი ანალიზი (წერა),
ტესტი მუსიკის თეორიის დისციპლინებში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა

დირიჟორობა ორი როიალის თანხლებით:

აბიტურიენტმა გამოცდაზე უნდა შეასრულოს 3 (სამი) ნაწარმოები. მათ შორის: ორი-თანხლების გარეშე, ერთი-თანხლებით. აქედან ერთ-ერთი-ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ზეპირად:
2. თანხლების (a cappella) გარეშე საგუნდო ნაწარმოებების:
 - ა)საგუნდო პარტიტურის დაკვრა ფორტეპიანოზე ზეპირად:
 - ბ)საგუნდო პარტიტურის სიმღერა (ხმიდან ხმაზე გადასვლით) ზეპირად:
3. ერთი ვოკალური ნაწარმოების (რომანსი ან სიმღერა) შესრულება სიმღერით ნოტებით:
4. გასაუბრება საგამოცდო პროგრამის ირგვლივ:
5. ფორტეპიანო: აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს არსებული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი:
 - ა)ი.ს.ბახის პრელუდია და ფუგა „კარგად ტემპერირებული კლავირი“-დან:
 - ბ)ი.ს.ბახის სამხმიანი ინვენცია:
 - გ)კლასიკური სონატის პირველი ნაწილი(სონატური ფორმა)

2.მუსიკის თეორია

აბიტურიენტებმა კარნახი და სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებული) მიხედვით

სოლფეჯიო - (ჩაწერის დრო - 0,5 ასტრონომიული საათი).

კარნახი: აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს სამხმიანი კარნახი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საშუალო რგოლში სოლფეჯიოს კურსის პროგრამის მოთხოვნებში (მარტივი, 3 ხმიანი, 8 ტაქტი, ერთტონალური, აკორდული ფაქტურის, მელოდიური, ადვილად დასამახსოვრებელი, არ უნდა შეიცავდეს ქრომატიზმებს, დიდ ნახტომებს, ლიგებს, პაუზებს, არ იქნას გამოყენებული რთული ზომა და 3-ზე მეტი საგასაღებო ნიშანი).

სმენითი ანალიზი

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული); (გამოცდაზე შესრულდება 5 კილო, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი ყველა წმინდა, დიდი და პატარა, გადიდებული და შემცირებული (+4:-5:-4:+5:+2:-7:-3:+6) გადაწყვეტით; (გამოცდაზე შესრულდება 5 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სეპტაკორდი სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი მაჟორული - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე; (გამოცდაზე შესრულდება 5 აკორდი, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (სავარაუდო: ტაქტების რაოდენობა - 4, აკორდების რაოდენობა - 10-12). (იკვრება 3-ჯერ)

ტესტი მუსიკის თეორიის დისციპლინებში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).

ა) მელოდიის ჰარმონიზაცია (8 ტაქტი);

ბ) ჰარმონიული ანალიზი: საანალიზოდ აბიტურიენტს ეძლევა ერთი მაგალითი მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ ან სამნაწილიანი ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს: ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები.